ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3-14

2017 წლის 24 თებერვალი

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-93 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010270000.35.101.016111) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის და დღიური მოვლა-პატრონობის ხარჯი შეადგენს:

ა) გადაყვანა სპეციალურ ადგილზე – 100 ლარს;

ბ) დღიური მოვლა-პატრონობა:

ბ.ა) მსხვილფეხა პირუტყვის – 15 ლარს;

ბ.ბ) წვრილფეხა პირუტყვის – 10 ლარს.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**